

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2016 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 7 159 996.3 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 285 208.9 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 158 980.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 47 118.9 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 668 688.1 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-სექტემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (6 285 208.9 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (6 250 837.2 ათასი ლარი) 100.5%;

– გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 831 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 5 943 499.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 101.9%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 295 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 374 429.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 103.5%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 485 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 490 460.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.4%.

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (883 969.2 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (810 000.0 ათასი ლარი) 109.1%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 1.7 ათასი ლარი.

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 3 464 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 201 295.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 92.4%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 742 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 404 675.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 87.7%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 796 620.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (722 000.0 ათასი ლარი) 110.3%-ია;

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 55 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 51 852.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.3%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-სექტემბერში შეადგინა 315 919.8 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 222 329.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 138 210.7 ათასი ლარი (რაც გეგმის 62.2%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 80 882.0 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 7 737.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 13 143.2 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 36 447.9 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 197 508.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 203 498.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 103%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 14 483.3 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-სექტემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (158 980.3 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (162 800.0 ათასი ლარი) 97.7%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (30 122.5 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (47 300.0 ათასი ლარი) 63.7%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (128 857.9 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (115 500.0 ათასი ლარი) 111.6%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 542.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 169.5%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 126 315.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (114 000.0 ათასი ლარი) 110.8%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 47 118.9 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (44 300.0 ათასი ლარი) 106.4%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 46 397.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (44 300.0 ათასი ლარი) 104.7%;

აქციები და სხვა კაპიტალი - 718.5 ათასი ლარი;

სხვა დებიტორული დავალიანების სახით ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხა – 3.3 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 668 688.1 ათასი ლარი (რაც გეგმის – 834 885.5 ათასი ლარის 80.1%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 210 979.9 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 457 708.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (768 963.5 ათასი ლარი) 59.5%–ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 457 708.2 ლარი (რაც გეგმის – 493 963.5 ათასი ლარის 92.7%–ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 297 168.8 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 160 539.4 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 151 643.9 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა

კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-სექტემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 873.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 361.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 595.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 ოქტომბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 441 748.7 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 441 471.1 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 277.6 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 185 000.0 ათასი ლარი, სახაზინო

ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 180 613.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული 6 285 208.9 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 6 250 837.2 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 6 255 944.5 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 6 479 008.4 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 29 264.4 ათასი ლარი, ცხრა თვის გეგმა -228 171.2 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 283 869.6 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 158 980.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 442 849.9 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -254 605.1 ათასი ლარი(უარყოფითი), ცხრა თვის გეგმა -605 433.3 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 629 628.3 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 7 038 335.6 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 591 292.7 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 7 414 850.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 7 340 609.3 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 6 747 658.2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 592 951.1 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99%, ხოლო გეგმის 96.2%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-სექტემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 91.9%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 8.1%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-სექტემბერში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 090 190.3 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 084 952.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 074 722.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 98.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 832 458.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 798 610.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 777 667.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 93.4%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 302 875.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 296 911.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 296 911.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 98% და ვალდებულების 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 171 630.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (171 630.6 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 125 280.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (125 280.5 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 244 721.9 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 240 554.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 236 900.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.5%-ს და გეგმის 96.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 37 042.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 37 042.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100-ია%.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 707 003.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 677 144.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (686 706.8 ათასი ლარი) 98.6% და საგეგმო მაჩვენებლის 95.8%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-სექტემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 647 091.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (651 619.8 ათასი ლარი) 99.3%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-სექტემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 303 899.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 311 372.4 ათასი ლარი) 99.7% და საგეგმო პარამეტრის (2 332 162.6 ათასი ლარი) 98.8%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 656 167.6 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 650 516.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 153 105.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 153 105.7 ათასი ლარი) 100% და გეგმის (1 153 196.0 ათასი ლარი) 100%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 486 268.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 482 877.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.3% და ვალდებულების (486 069.5 ათასი ლარი) 99.3%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 636 735.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 615 408.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.6% და ვალდებულების (618 534.1 ათასი ლარი) 99.5%-ია; მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 506 428.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 492 263.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.2% და ვალდებულების (494 750.5 ათასი ლარი) 99.5%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 969 596.1 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 897 170.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 888 699.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.1%-ს და გეგმის 91.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 380 038.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 377 041.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.2% და ვალდებულების (380 038.4 ათასი ლარი) 99.2%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 49 284.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 49 284.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა 49 284.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 540 062.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 454 620.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 442 849.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.4%-ს და გეგმის 82%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 307 378.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 280 322.5 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (275 384.0 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.2% და საგეგმო მაჩვენებლის – 89.6%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 307 178.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 349 194.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 347 069.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.4%-ს და გეგმის – 113%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 19 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 360.0 ათასი ლარი) 85%-ია, ხოლო ვალდებულების 95%; ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 10 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 303 378.9 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 294 756.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 294 745.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 97.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 246 230.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (246 230.1 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 48 515.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (48 526.7 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 37 540.1 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 19 708.4 ათასი ლარი;

- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 8 233.0 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 208.1 ათასი ლარი;
- „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ – 1 285.9 ათასი ლარი;
- „საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი“ – 3 109.7 ათასი ლარი;
- „სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა“ – 4 995.0 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი ოქტომბრისთვის შეადგინა 245.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2016 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 6 698 794.4 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 265 421.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 332 395.6 ათასი ლარი) 95%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 253 129.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (298 178.2 ათასი ლარი) 84.9% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 20%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 296 851.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (302 815.4 ათასი ლარი) 98% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 23.5%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 497 374.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 504 955.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (6 698 794.4 ათასი ლარი) 7.5%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 764 283.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 724 822.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 414 674.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (421 338.9 ათასი ლარი) 98.4%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (78 014.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (83 449.5 ათასი ლარი) 93.5%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 86 486.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (101 511.5 ათასი ლარი) 85.2%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 845 203.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 725 308.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.8%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (39 878.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (46 869.4 ათასი ლარი) 85.1%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (162 866.1 ათასი ლარი), გეგმის (178 381.4 ათასი ლარი) 91.3% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 483 692.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 404 392.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.6%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 38 968.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 36 939.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.8%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 40 261.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 33 940.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.3%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 25 635.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 20 144.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.6%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 733 103.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 705 963.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.5%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 541 564.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (525 664.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 97.1%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (110 397.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (106 832.2 ათასი ლარი) 103.3%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 30 651.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (36 762.3 ათასი ლარი) 83.4%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 195 518.6 ათასი ლარით, რაც 2016 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (202 350.3 ათასი ლარი) 96.6%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 35 217.0 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (33 758.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 95.9%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 790 815.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 723 457.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.5% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 382 233.3 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (385 968.0 ათასი ლარი) 99%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 89 580.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (88 809.2 ათასი ლარი) 100.9%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრული იყო 1 774 315.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 782 466.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.6%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1 155 258.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 155 160.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 489 792.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (494 403.1 ათასი ლარი) 99.1%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდათვრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 180.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 3 241.9 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 938.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდაათოთხმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 112 740.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 87 269.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 ოქტომბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 25 471.3 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდასამ შემთხვევაში შეადგინა სულ 210 413.3 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 202 509.1 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 ოქტომბრისთვის აუთვისებული თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 7 904.2 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 45 531.1 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 44 496.1 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 770.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 742.1 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 37 000.0 ათასი ლარი. აქედან, ვალდებულებების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 25 041.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 25 041.5 ათასი ლარი); სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – 625.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 625.0 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 44.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 44.4 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 11 289.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 9 464.3 ათასი ლარი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 1 805.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 2 623.3 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 866.3 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ქრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 9 464.3 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2016 წლის იანვარ-სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.